MES 0 22 0000156072

16/02/2022

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის10 თებერვალს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)
2. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).
3. თამარ ვეფხვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;
4. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;

5. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
6. იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
7. აკაკი ხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტ-ბიზნესის მიმართულებით;
8. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
9. დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;
10. მორის შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის „კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის“ სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
11. ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. მარინა ქორიძე - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი;

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

ნიკოლოზ ფარჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
დავით ბურჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ალავიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თამთა მოხევიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამთა ანთიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო სარჯველაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ანი ბილანიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო გულიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია:

1. გია გუგუშვილი - რექტორი
2. ნინო ღაღანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი:

1. მარიამ დარბაიძე — რექტორის მრჩეველი
2. ნათია ქაჯაია - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. ნიკოლოზ დუდაშვილი - უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი;
4. მარიკა შავლაყაძე —კვლევებისა და განვიტარების სამსახურის უფროსი
5. ილონა საყავრელიძე — ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი
6. ნინო აბაიშვილი — ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მაოდგილე
7. ქეთევან ცერცვაძე — საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი
8. ლია ჭიღლაშვილი — სამარტლის ფაკულტეტის დეკანი
9. ნონა გელიტაშვილი — ეკონომიკის, ბიზნესისა დამართვის ფაკულტეტის დეკანი
10. ირინე არჯევანიძე — ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი
11. ეკატერინე გიგოლაშვილი — ბუღალტერი
12. მაია მელაძე — კვლევებისა და განვიტარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი
13. ნათია ხითარიშილი -ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

1. დავით მახვილაძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი:

1. ზაზა რუხაძე - უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში; სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დეკანი
2. ქეთევან ჯინჭარაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

ლევან სილაგაძე
ია ნაცვლიშვილი
ნინო პატარაია
ლილი შატბერაშვილი
ჯილდა ჭეიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესახებ შემოსული საჩივრის განხილვა;
4. შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის შესახებ შემოსული საჩივრის განხილვა;
5. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შესახებ შემოსული საჩივრის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, თამთა ანთიძემ, დააყენა შუამდგომლობა, პირველ საკითხად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საბჭოს 2021 წლის 28 დეკემბრის №1430360 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური ხარვეზის გასწორების განხილვის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 28 დეკემბრის №1430360 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესახებ შემოსული საჩივრის განხილვა;
5. შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის შესახებ შემოსული საჩივრის განხილვა;
6. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შესახებ შემოსული საჩივრის განხილვა.

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 28 დეკემბრის №1430360 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხის განხილვა;

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, თამთა ანთიძემ, დააყენა შუამდგომლობა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტროზიაციის საბჭოს 2021 წლის 28 დეკემბრის №1430360 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ. კერძოდ, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიის "ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების რაოდენობა ნაცვლად 120 კრედიტისა, განსაზღვრულიყო 240 კრედიტით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 28 დეკემბრის №1430360 გადაწყვეტილების დანართში, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ "ქრისტიანული ხელოვნებთმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების რაოდენობა 120 კრედიტის ნაცვლად განისაზღვროს 240 კრედიტით.

2. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტმა, ლევან სილაგაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებაში განხორციელდა განმეორებითი ვიზიტი, პირველ ვიზიტზე 2018 წელს თვითონაც ექსპერტთა ჯგუფის წევრი გახლდათ. მისი მოსაზრებით, დინამიკაში იყო პროგრესი, ვინც შეუიარაღებელი თვალით მივიდოდა აკადემიაში შეეძლო ენახა, როგორ გაკეთდა ძველი, ისტორიული შენობა. პროფესიული თვალსაზრისით კი მნიშვნელოვანი იყო, რომ სიტუაცია, კონფიგურაცია, მთლიანი სქემა განხორციელდა არა მხოლოდ რესტავრაციის კუთხით, არამედ სამუშაო პროცესში, ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის განვალობაში მიეცა აღნიშნულის ნახვის შესაძლებლობა. უსდ-ში მიმდინარეობდა აქტიური სამუშაო-სასწავლო პროცესი, სწორედ იმ ძველ შენობაში, სადაც ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და მუზეუმი იყო განთავსებული, ცოცხალი შემოქმედებითი პროცესი, რომელიც დარგისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. აღსანიშნავი იყო, რომ ექსპერტთა ჯგუფმა იხილა სამუშაო პროცესში შემოქმედებითი/მხატვრული სასწავლო პროცესი. ვიზიტი განხორციელდა მონიტორინგის ფარგლებში და ეხებოდა მხოლოდ მეშვიდე სტანდარტს, მატერიალური რესურსები, საბიბლიოთეკო რესურსები, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები, რაც დადებითად შეფასდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, თუმცა განხორციელების პროცესში მიმდინარეობდა ახალი შენობის რემონტი, ექსპერტთა ჯგუფმა ნახა ძველი შენობა, რომელიც შთამბეჭდავი იყო თავისი აღჭურვილობით. ასევე შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციები სახელოვნებო აქტიურობასთან დაკავშირებით, რომელიც ახალ კორპუსში უნდა გაკეთებულიყო. იყო რეკომენდაცია, რომ ბიბლიოთეკასა და აკადემიურ პერსონალს მეტად ეზრუნა, რომ სტუდენტებს აქტიურად გამოეყენებინათ საერთაშორისო ბაზები, ინფორმაციული ტექნოლოგიის მართვის დოკუმენტის შემუშავება და ფინანსური კუთხით ავტომატური წყაროების მოძიება, აკადემიამ წარადგინა დოკუმენტაცია, სადაც პროექტების სახით ბევრი რამე იყო გაწერილი და აპირებდნენ განეხორციელებინათ, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებისას განხორციელების პროცესში არსებული საკითხები და შედეგი შემდეგი დღის საქმე იყო, მაგრამ რეკომენდაციების სახით გარკვეული ჩანაწერები გაკეთდა.

15:12 საათზე საბჭოს შემოუერთდა აკაკი ხელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ, განმარტა, რომ სულ იყო განმავითარებელი სახის 5 რეკომენდაცია, რომლებთან დაკავშირებითაც დაწესებულებამ მნიშვნელოვანი სამუშაო გაწია და საუკეთესო პრაქტიკაც იყო ასახული დასკვნაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
რექტორმა, გია გუგუშვილმა, განაცხადა, რომ იგრძნობოდა თანადგომა/ობიექტურობა, თუმცა ყოველთვის იყო პატარ-პატარა ხარვეზები. მათ ძალიან შეეშალათ ხელი პანდემიის გამო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ უწევდათ ხატვის დისტანციურად სწავლება, დაწესებულება მაინც იბრძოდა.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:17 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:19 საათი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პატარაიამ, განაცხადა, რომ მონიტორინგის ფარგლებში უნდა შეფასებულიყო, მხოლოდ მესამე და მეოთხე სტანდარტი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ყველა სტანდარტთან დაკავშირებით გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია და წარმოადგინა ძირითადი მიგნებები. გაცემული რეკომენდაციების უმეტესობა შესრულებული იყო, ყველა მათგანთან მიმართებით გარკვეული ქმედებები გატარებული იყო, თუმცა გახლდათ გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც მეტწილად/ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალა, რაც ეხმიანებოდა კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას, დაწესებულებამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები, გამოყო კვლევითი პრიორიტეტები, გაზარდა ბიუჯეტი, როგორც კვლევითი მიმართულებით, ასევე ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების კუთხით, თუმცა მნიშვნელოვანი იყო გარე მექანიზმები უფრო მეტად ყოფილიყო ჩართული კვლევითი შედეგების ვალიდურობის გაზრდისთვის და კვლევითი მიღწევების უფრო თვალსაჩინოებისთვის უმჯობესი იქნებოდა აუდიტორიისთვის დემონსტრირება, ინტერნაციონალიზაციის კუთხითაც დაწესებულებას ჯერ კიდევ ჰქონდა ნაბიჯები გადასადგმელი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა გარკვეული პროგრესი, რომ სხვადასხვა დაწესებულებებთან გაფორმდა ხელშეკრულებები, მიმდინარეობდა სტუდენტების/აკადემიური პერსონალის გაცვლა, მაგრამ ამ რიცხვის გაზრდა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. რეკომენდაცია ასევე ეხებოდა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, ამ მიმართულებით დაწესებულებაში არსებობდა წესი, რომლის მიხედვითაც, როგორც ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შეფასება ხდებოდა, თუმცა მეტად სისტემური სახე რომ მიცემოდა ტრენინგებს, უმჯობესი იქნებოდა. ყველა შემთხვევაში ნათელი იყო, რომ დაწესებულებას ჰქონდა მზაობა და ამ მიმართულებითაც ყველგან დაინახეს პროგრესი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნათია ქაჯაიამ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულების პროგრესის დანახვისთვის. მან განაცხადა, რომ ინსტიტუციამ ძალიან დიდი სამუშაო გასწია ყველა მხრივ. პროგრესულად

გაუმჯობესების/განვითარების მიზნებისთვის ბევრი სამუშაო განახორციელა, რეკომენდაციები შესრულებულია, კომპონენტებში მეტწილად შესრულებასაც დაეთანხმნენ. ექსპერტთა ჯგუფს დასკვნაში გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის თანახმადაც დაეთანხმნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშია ასახულ რეკომენდაციებს და გამოთქვეს მზადყოფნა რომ გაეგრძელებინათ საგანმანათლებლო საქმიანობა, განვითარებაზე ზრუნვა და რეკომენდაციების შესრულება, თუმცა ის რეკომენდაციები, რომლებიც წინა ექსპერტთა ჯგუფმა გაწერა, შესრულებული იყო და დასტურდებოდა დაწესებულების შედეგებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძე დაინტერესედა, ნაწილობრივად შესრულებულ კომპონენტთან, შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით, თუ რამ განაპირობა ასეთი შედეგი? მან ნახა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწერილ აღწერით ნაწილში ეწერა, რომ რეკომენდაციები ამ მიმართულებით არ იყო შესრულებული და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, განემარტათ თუ რა გეგმა ჰქონდათ ამ მიმართულებით, რადგან გასაგები იყო, რომ წარმატების გზაზე იდგნენ, რადგან ასრულებდნენ რეკომენდაციებს, მაგრამ რა მოხდა ამ შემთხვევაში?

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ, მეშვიდე სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სურდა მეტი განმარტება მოესმინა ფინანსური რესურსების ნაწილზე 7.4 კომპონენტთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნინო პატარაიას, განცხადებით, დასკვნაში ასახული იყო, რომ სწავლის შედეგები შემუშავებული იყო, ხდებოდა საგნების ინდივიდუალური შეფასება, უბრალოდ საუბარი იყო იმაზე, რომ არ იკვეთებოდა რეაგირება სწავლის შედეგებზე ვერ გასვლის შემთხვევაში. სწორედ ამის დოკუმენტირება მოითხოვა ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისგან, თუმცა პროგრამას კურიკულუმში გაწერილი ჰქონდა სწავლის შედეგები, ინდივიდუალური შეფასებებიც ხდებოდა, როგორც კურსობრივი, ასევე პროგრამების, თუმცა თუ გარკვეული პროგრამა ვერ გადის შედეგზე, რა რეაგირებას ახდენდა დაწესებულება არ ჩანდა. ფინანსების შესახებ მან განმარტა, რომ მათი რესურსი რეალურად, მეტწილად სწავლის საფასურის გადახდის შედეგად იყო მოპოვებული და ძალიან მნიშვნელოვანი იყო დაწესებულებას ჰქონოდა შესაძლებლობა სტუდენტების მისაღებად, თუმცა აღნიშნული იყო, რომ დივიდენდები დამფუძნებლებმაც არ აიღეს და უნივერსიტეტის განვითარებაში დააბრუნეს, ამიტომ გარკვეული რეკომენდაცია იყო გაცემული, რომ გაეკეთებინათ ფინანსური წყაროების დივერსიფიკაცია და როგორც ცნობილია, დაწესებულება მონაწილეობდა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტებში, თუმცა ამ მიმართულებითაც გასაძლიერებელი იყო მუშაობა, რომ უფრო მრავალფეროვანი გამხდარიყო აღნიშნული ფინანსური წყაროები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნათია ქაჯაიამ, განაცხადა, რომ, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, ისე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ გარკვეული პერიოდის წინ, განიხილა უნივერსიტეტის მიერ რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის საკითხი, რომელიც განპირობებული იყო საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და კლასიფიკატორთან შესაბამისობის დასადგენად, რაც დაწესებულებამ წარმატებით გაიარა და ყველა პროგრამასთან მიმართებით შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა შესაბამისობა აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან პროგრამების მიმართულებით. იგი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ახსნა-განმარტებას, სწორედ მოდიფიცირება, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის მიზნით განახორციელეს, თავიდან განისაზღვრა სწავლის შედეგების რუკები, სამიზნე ნიშნულები, ინდიკატორები და აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული. მოდიფიცირების ოქმებში აისახა ის შედეგები, რომლებიც ამ ანალიზის

საფუძველზე შეიმუშავა დაწესებულებამ და გაუმჯობესების მიზნებისთვის უკვე შედეგია ჩამოყალიბებული. საგანმანათლებლო პროგრამაში ასევე აისახა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები კიდევ უნდა დაკვირვებოდნენ აღნიშნულ შედეგებს, სემესტრი ცოტა ხნის წინ დასრულდა და უფრო ახალი ანალიზი ექნებოდათ ამ მიმართულებით, რომელსაც გაითვალისწინებდნენ ახალ რეკომენდაციებთან ერთად.
სხდომის თავმჯდომარის, თამარ ზარანდიას განცხადებით, გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ განახლებულიყო კრედიტების გაანგარიშების წესი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანებაში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე და დაინტერესდა, აღნიშნული რეკომენდაციის შესახებ ინფორმაციით, არ იყო ბრძანებაში გათვალისწინებული თუ რამ გამოიწვია აღნიშნული რეკომენდაცია?
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნინო პატარაიას, განმარტებით, შესაძლებელია ყოფილიყო ტექნიკური უზუსტობის საკითხი.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნათია ქაჯაიამ, განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა აღნიშნული ნორმატიული აქტი, გამოქვეყნდა მაცნეზე და ცენტრმაც სიახლეებში განათავსა. დაწესებულების იურიდიულმა სამსახურმა განახორციელა რეგულაციის მოდიფიცირება, რაც აისახა უნივერსიტეტის რეგულაციაზე და განთავსდა ვებ გვერდზეც.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:35 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:38 საათი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენისთვის 1 წლის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 24-ე და 25-ე პუნქტების შესაბამისად, შეწყდეს შპს - თბილისის

ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესახებ შემოსული საჩივრის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

თვითაცილება განაცხადა - ზურაბ გვიშიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს, მიმოეხილათ წარმოდგენილი საჩივარი.
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ანა ბილანიშვილმა განაცხადა, რომ მოქალაქის საჩივარი ეხებოდა აპლიკანტის ჩარიცხვას სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე. როგორც განცხადებაში იყო მითითებული აღნიშნულ ჩარიცხვასთან დაკავშირებით იყო გარკვეული გაუგებრობები, კერძოდ, სამაგისტრო გამოცდის რანჟირებულ სიაში მოხვდა მოქალაქე ილია იოსელიანი, რომლისგანაც ცენტრს აქვს თანხმობა იდენტიფიცირებაზე, ასევე დაწესებულებისგან მიიღო შეტყობინება აღნიშულ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ, თუმცა მოგვიანებით მიიღო შეტყობინება, რომ წინა

შეტყობინება გაბათილდა შეცდომის გამო და რეალურად ის არ იყო ჩარიცხული აღნიშნულ პროგრამაზე, თუმცა, როგორც განცხადებაში იყო მითითებული, დამატებითი ინფორმირება მოხდა დაგვიანებით, ამასობაში აპლიკანტმა გადაიხადა სამაგისტრო საფეხურზე სწავლის საფასური და გააფორმა საფინანსო ხელშეკრულება დაწესებულებასთან. ამ გაუგებრობამ, ვიდრე გაირკვეოდა მისი ჩარიცხვა/არჩარიცხვის საკითხი, დააკარგვინა დრო და ვეღარ შეძლო დამატებით კონკურსში მონაწილეობა, რომელიც გამოცხადდა მოგვიანებით, როგორც ამ, ასევე სხვა უნივერსიტეტებში. ასევე დაწესებულების აკადემიურ მენეჯერთან პირადი კონტაქტის საფუძველზე დააზუსტა, რომ საბოლოოდ არ იყო ჩარიცხული და რანჟირების სიაში მისი რეიტინგი არ აძლევდა ჩარიცხვის შესაძლებლობას, კერძოდ, მისაღები კვოტა იყო 25 და ილია იოსელიანი იყო მე-40, შესაბამისად, ვერ ჩაირიცხებოდა პროგრამაზე და საკითხი ეხებოდა ფინანსურ ნაწილს, გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმცხადებელი მიუთითებდა, რომ გარკვეული პრობლემები შეუქმნა უნივერსიტეტმა არ მოხდა თანხის დროული დაბრუნება და კონკრეტულ პირთან გარკვეული უთანხმოება და სიტყვიერი დაპირისპირებაც კი ჰქონდა, ასევე, ცენტრის პრაქტიკის შესაბამისად კომუნიკაცია ჰქონდათ ხოლმე წარმოების ფარგლებში, როგორც განმცხადებელთან, ასევე საჩივრის ადრესატ დაწესებულებასთან. განმცხადებელმა მოგვიანებით მიუთითა, რომ დაწესებულება მას სთავაზობდა სხვა უნივერსიტეტში ჩარიცხვაში დახმარებას, რაც მისთვის გაუგებარი იყო და მითითებული იყო, როგორც ერთ-ერთი საეჭვო გარემოება. საბოლოოდ ცენტრს ჰქონდა კომუნიკაცია ორივე მხარესთან, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ საუბარი იყო განმცხადებლისთვის ინფორმაციის ნაკლებობაზე, როგორც დაწესებულებამ ცენტრს აცნობა, პროგრამებზე ჩარიცხვა ხდებოდა დადგენილი წესების/პროცედურების გათვალისწინებით, რომელთა მიღმა მოქალაქე ვერ გახდებოდა სტუდენტი, მითუმეტეს, რომ მასთან ხელშეკრულება არ გაფორმებულა, რომლის გაფორმებასაც დამატებითი მტკიცებულების სახით ვერც განმცხადებელმა ვერ დაადასტურა/წარმოადგინა მისი რაიმე ასლი/მტკიცებულება, ხოლო რაც შეეხება შეტყობინების შეცდომით მიღებას, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ მეორე შეტყობინება, წინა შეტყობინების ბათილად ცნობის შესახებ, გაეგზავნა რამდენიმე წუთში და შესაბამისად შეცდომაზე რეაგირების ეს დრო ვერ იქნებოდა მისთვის შეცდომაში შემყვანი და მითუმეტეს ვერ შეუშლიდა ხელს სხვა პროგრამაზე ჩაბარებაში, ეს მტკიცებულებები დაწესებულებამ წარმოადგინა და ატვირთული იყო საქმის მასალებშიც, შესაბამისად საბჭოს წევრებს შეეძლოთ ნახვა, თუ როგორ მოხდა მისი ინფორმირება. რაც შეეხება ფინანსურ საკითხს, აპლიკანტისთვის რეკვიზიტები, სადაც გადახდა განახორციელა საჯაროდ არის ხელმისაწვდომი და შესაძლებელია სხვა აპლიკანტისგანაც მოეძიებინა ეს რეკვიზიტი.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა დაუბრუნდა თუ არა სტუდენტს თანხა?

ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ განმცხადებელს დაუბრუნდა თანხა მყისიერად, დაახლოებით ერთი კვირის ფარგლებში.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა ესწრებოდა თუ არა საბჭოს სხდომას განმცხადებელი?

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, თამთა მოხევიშვილმა განმარტა, რომ დაუკავშირდა განმცხადებელს, რომელიც ჯანმრთელობის მდოგმარეობის გამო ვერ შეძლებდა სხდომაზე დასწრებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ მაქსიმალურად გაუზიარეს თავისი ინფორმაცია ცენტრს. საუბარი იყო იმაზე, რომ ტექნიკური ხარვეზით გაგზავნილი მესიჯი რამდენიმე წუთში გამოსწორდა იგივე საშუალებით, იგვე „სოფტის“ გამოყენებით და სტუდენტებს ეცნობათ, რომ გაეგზავნათ ხარვეზი და არ გაეთვალისწინებინათ, ისევე, როგორც სტუდენტს ჰქონდა თანხა ჩარიცხული და განცხადება დაწერილი, მის დაბრუნებაზე, 12 რიცხვში მიიტანა ანგარიში თანხის

დაბრუნებისთვის, იმავე დღეს საგადახდო დავალება გაეშვა ხაზინაში, თუმცა პროცედურა ისე დაემთხვა, რომ თანხის დაბრუნება იმავე დღეს პარასკევს ვერ მოხერხდა და ორშაბათს გადაირიცხა. ეს სტანდარტული პროცედურაა საჯარო უნივერსიტეტისთვის, ამიტომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ანალოგიურ პირობებში მყოფი სხვა სტუდენტებისთვის, გამოცხადდა კონკურსი და არცერთ სხვა სტუდენტს პრობლემა არ ჰქონია, მესიჯიც გასაგები იყო და შესაბამისად, დაწესებულებას ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით ჩარიცხვის კანონიერების ნაწილში, სერვისების/ინფორმაციის მენეჯმენტის ნაწილში პრობლემა არ ჰქონია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრი, მორის შალიკაშვილი, დაინტერესდა მხოლოდ განმცხადებელ სტუდენტთან გაიგზავნა შეტყობინება შემთხვევით, თუ რაღაც ტექნიკური ხარვეზი იყო და ბევრ აპლიკანტთან გაიგზავნა?
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით მახვილაძემ, განმარტა, რომ მესიჯები ცენტრალიზებულად იმართება, ეს არის „სოფტი“ და მთელი დაინტერესებული ათეულობით სტუდენტი, მათ შორის ვინც ჩაირიცხა და ვინც კონკურსგარეთ დარჩა, ყველას გაეგზავნა აღნიშნული ინფორმაცია და მისი გამოსწორებაც, თუმცა ერთადერთი შემთხვევა აღმოჩნდა, როდესაც გაპრობლემდა განცხადების დაწერით და ნათლად დაიხატა სურათი, კოლეგა სტუდენტს სთხოვეს Screenshot-ის გაკეთება, რომელიც გამოაგზავნეს ცენტრში, რომ რამდენიმე წუთში ყველაფერი აღმოიფხვრა, ისევე, როგორც გადახდის ნაწილში, რომ 12-ში დაიწერა განცხადება და 12-შივე დაიწყეს გადარიცხვის ოპერაცია, თუმცა დიდი ორგანიზაციისთვის დამახასიათებელი იყო ცოტა მოუქნელი პროცედურები, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში და ზოგადად დაწესებულებაში ISO9001-ს ნერგავდნენ და აღნიშნული სტანდარტი ძალიან მოქნილს ხდის დაწესებულებას, საათებზეა საუბარი გადარიცხვის შემთხვევაში და წუთებზე შეცდომის აღმოფხვრის შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესახებ შემოსულ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-88 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტების, 103 - ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

5. შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის შესახებ შემოსული საჩივრის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საჩივრის ავტორს, დაეფიქსირებინა მისი მოსაზრება.
განმცხადებელმა, ქეთევან კილაძემ, მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს, ზაზა რუხაძეს კიდევ არ გაემეორებინა მისი პირადი ბულინგი, მის განათლებაზე ხაზგასმით, რომ განმცხადებელმა არაფერი იცოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოში უჩივლებდა,

15:57 საათზე საბჭოს შემოუერთდა მარინა ქორიძე.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სასამართლოსთვის მიმართვა იყო განმცხადებლის უფლება, სხდომაზე კი კონკრეტულ საკითხზე უნდა ესაუბრა.
განმცხადებელმა, ქეთევან კილაძემ, განაცხადა, რომ 2018 წელს, როდესაც აღნიშნულმა უნივერსიტეტმა გამოაცხადა მობილობა, ლოგიკურად აირჩია ის, რადგან მიდიოდა ამერიკაში და მისი მოსაზრებით პრივილეგია ექნებოდა მათ დიპლომს და შემდეგ მარტივად გააგრძელებდა სწავლას ნებისმიერ უნივერსიტეტში, რომელსაც აირჩევდა. როდესაც დაიწყო სწავლა, გავიდა 1-2 სემესტრი და ელოდებოდა, რომ ამერიკული სწავლების მეთოდი იქნებოდა, მაგრამ მსგავსი არაფერი ხდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ განმცხადებელს მოუწოდა ესაუბრა იმ საკითხებზე, რაც აღნიშნული ჰქონდა განცხადებაში.
განმცხადებელის თქმით, ის განმარტავდა, თუ რატომ აირჩია აღნიშნული უნივერსიტეტი, რომ ეგონა გამოიყენებდა ამერიკაში, თუმცა გავიდა სემესტრები და ამერიკული სწავლების მეთოდი ვერ დაინახა, რის გამოც გამოთქვა პრეტენზია, მისწერა ადმინისტრაციას თუ რატომ არ იყენებდნენ ამერიკული სწავლების მეთოდებს, რადგან სწავლის ღირებულება, რაც 5900 ლარს შეადგენდა, არ გახლდათ მცირე თანხა, არამედ ეს იყო ფუფუნების საგანი, რადგან ქვეყანაში მოქალაქეთა დიდი ნაწილის ხელფასები 300 ლარს არ აღემატებოდა, შესაბამისად, მოითხოვა განმარტება, თუ რატომ არ იყო ამერიკული სწავლება, რისთვისაც აირჩია აღნიშნული უნივერსიტეტი და გამოიყენებდა თუ არა აღნიშნულ დიპლომს ამერიკაში? რაზეც პაუხად მიიღო, რომ ვერ გამოიყენებდა. როგორც მან აღნიშნა, მანამდე სწავლობდა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში და სწავლების მხრივ განსხვავება საერთოდ ვერ იგრძნო, იყო ჩვეულებრივი სწავლის მეთოდები. გორის უნივერსიტეტშიც ჩადიოდნენ, მოსამართლეები, პროკურორები და აღნიშნულ უნივერსიტეტშიც იწვევდნენ, შესაბამისად, ვერანაირი განსხვავება ვერ შეამჩნია, რაც მივიდა უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტის, ზაზა რუხაძის ყურამდეც. ზოგადად მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სხვა სტუდენტების მხრიდან იგრძნობოდა მიუღებლობა, თითქოს უცხოპლანეტელი იყო და იგივე უფლებებით არ სარგებლობდა. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა მის მიმართ დისკრიმინაციას, ერთ-ერთი ლექტორის, ლალი წურწუმიას მხრიდან. კოკრეტულად კი, გამომდინარე იქიდან რომ მიდიოდა ამერიკაში შეწყვიტა სწავლა, თუმცა ფიქრობდა სტუდენტის სტატუსის აღდგენას და როდესაც კურსებს გაეცნო, აღმოაჩინა, რომ სტუდენტურ ჩათში, რომელშიც აღნიშნული ლექტორიც გახლდათ გაწევრიანებული, იყო გარკვეული პრეტენზიები მის მიმართ და სტუდენტებმა არაერთი საჩივარი/საყვედური უთხრეს, მაგრამ როდესაც განმცხადებელი კურსელს გაეხუმრა იმათ პასუხი არ გასცა, თუმცა მას მისწერა, თუ როგორ ბედავდა სიტყვის თქმას.
სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოსთვის ნაკლებად საინტერესო იყო თუ რა განხილვები ჰქონდათ სტუდენტებს ჩათში, ამიტომ სთხოვა ესაუბრა არსებითად.
განმცხადებელმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ლექტორი ახდენდა მის დისკრიმინაციას, ეუბნებოდა, თუ რა უფლებით აფიქსირებდა თავის მოსაზრებებს და საერთოდ, მადლობა უნდა გადაეხადა მისთვის, რომ სტუდენტის სტატუსი აღადგენინა, რაც ქეთევან კილაძის თქმით, სტუდენტის გადასაწყვეტია, თუ როდის შეწყვეტს/გააგრძელებს სწავლას და მისი მოსაზრებით, ასეთი დამოკიდებულება გახლდათ დისკრიმინაცია. სტუდენტი ყოველთვის გრძნობდა, რომ პრეტენზია არ უნდა გასჩენოდა, არ ჰქონდა სიტყვის წარმოთქმის უფლება. ასევე პრობლემა ჰქონდა სწავლასთან დაკავშირებით, ლექტორების გაცდენების გამო. მისი თქმით, ბექა ძამაშვილი პირველივე ლექციიდან მოყოლებუბლი, ძალიან ხშირად აცდენდა ლექციებს და ისეთ დროს სთავაზობდა სტუდენტებს ლექციის აღდგენას, როდესაც სხვა ლექციას ემთხვეოდა და ამის გამო ყველა სტუდენტს პრობლემა ექმნებოდა, რასაც მოყვებოდა დავა, თუ ვის როდის ეცალა. ამ ყველაფერს თვალს ადევნებდა ლექტორი და ერთხელაც კი არ დაინტერესებულა, თუ რატომ კამათობდნენ სტუდენტები. განმცხადებლის თქმით, შესაძლებელი გახლდათ, ლექცია ჩაეტარებინათ ნეიტრალურ დღეს და პრობლემა ამით აღმოიფხვრებოდა. ამის შემდეგ განმცხადებელს კამათი მოუვიდა და მოითხოვა ვიცე-პრეზიდენტთან, ზაზა რუხაძესთან შეხვედრა, აღნიშნულ საკითხზე სასაუბროდ თუმცა, მისი თქმით, ზაზა რუხაძესთან საუბრისას, მისი მხრიდან მოხდა სტუდენტის დაბულინგება და პრობლემა არ მოგვარებულა, არაფერი შეცვლილა. მან ასევე გაიხსენა, რომ ანა ნაცვლიშვილი უტარებდა ლექციას, რომელიც ასევე ძალიან ხშირად აცდენდა ლექციებს, ან ატარებდა მცირე დროით და ამ მცირე დროსაც სალექციო თემატიკაზე საუბრის ნაცვლად, ეწეოდა „ნაციონალური მოძრაობის“ აგიტაციას, რაზეც განმცხადებელმა უთხრა, რომ „ტელევიზორშიც ყოფნიდა „ნაციონალური მოძრაობის“ ყურება და აუკრძალა ამის გამეორება“.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნიკოლოზ ფარჯანაძემ, აღნიშნა, რომ საბჭო ინფორმირებული იყო აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.
სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რამდენჯერმე მისცა შენიშვნა განმცხადებელს და კიდევ ერთხელ სთხოვა, რომ ესაუბრა საჩივრის შინაარსზე.
განმცხადებელმა, ქეთევან კილაძემ, აღნიშნა, რომ როდესაც პრეტენზიით თავისუფალ სიტყვას გამოთქვამდა, ყოველთვის აბულინგებდნენ, ხდებოდა მისი დისკრიმინაცია და ქულების დაკლება. მაგალითად, ანა ნაცვლიშვილმა მიუხედავად მისი აქტიურობისა, 65 ქულა დაუწერა რაც ქეთევან კილაძემ გააპროტესტა და მოითხოვა შესაბამისი ქულა, რაც მისი აზრით, ეკუთვნოდა. საბოლოოდ ანა ნაცვლიშვილმა 81 ქულა დაუწერა.
სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო არ განიხილავდა შეფასებას საგნებთან დაკავშირებით, რადგან ეს იყო პროფესორის დისკრეცია და არა საბჭოს განხილვის საგანი.
განმცხადებელმა, ქეთევან კილაძემ, აღნიშნა, რომ ერთ-ერთ საგანში ეკუთვნოდა ფრიადი, თუმცა სხდომის თავმჯდომარემ გააწყვეტინა სიტყვა და კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საბჭო არ განიხილავდა აღნიშნულ საკითხს, რადგან სტუდენტის შეფასება პროფესორის დისკრეცია გახლდათ.
განმცხადებელმა, დასკვნის სახით განაცხადა, რომ ხდებოდა მისი დისკრიმინაცია, უნივერსიტეტს არ ჰქონდა არანაირი განსხვავებული სწავლების მეთოდი და არ განსხვავდებოდა იმ უნივერსიტეტების მეთოდებისგან, სადაც სწავლა 2250 ლარს არ აღემატებოდა.
სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, როდესაც სტუდენტი გადავიდა აღნიშნულ უნივერსიტეტში იცოდა თუ არა, რა იყო სწავლის საფასური, მისი ვალდებულება იყო სცოდნოდა მეთოდები, რომლებსაც იყენებდა უნივერსიტეტი.
განმცხადებელმა აღნიშნა, რომ დეტალურად არავინ აქცევდა ყურადღებას, რადგან როდესაც ამერიკის სახელით შემოდიოდა საქართველოს სივრცეში უნდა ესწავლებინა ამერიკული მეთოდებით, რაშიც მან გადაიხადა 5900 ლარი, სხვა შემთხვევაში 2250 ლარად არაჩვეულებრივ განათლებას იღებდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში, ზაზა რუხაძემ, განაცხადა, რომ 161 გვერდიანია ის საქმე, რომელიც დაწესებულებას გადაეცა, ამიტომ სრულად/ობიექტურად იყო შესწავლილი ყველა გარემოება, რომელზის აღნიშნულ საკითხს უკავშირდებოდა, მათ შორის იმ გარემოებებზეც კი, რომლებზეც არ უნდა ეპასუხათ და უნდა დარჩენილიყო პასუხს მიღმა, მაგრამ გამომდინარე იქიდან თუ საიდან დაიწყო პრობლემა, ეს არ გახლდათ ფაქტების/მოვლენების სწორი აღქმა, შესაბამისად დაწესებულებამ გასცა პასუხი, რომ არცერთი ფაქტი, რომელიც განცხადებაში იყო მოყვანილი მისი მტკიცების არცერთ ეტაპზე არ შეესაბამებოდა ლოგიკას, რადგან სტუდენტს არ ესმოდა რას ნიშნავდა მეთოდი, რას ნიშნავდა ამერიკული და ქართული მეთოდები. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი იყო ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ქართული კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი ინსტიტუცია, რომელიც მოქმედებდა იმ სტანდარტების მიხედვით, რომლითაც მიენიჭა ავტორიზაცია, შესაბამისად მისთვის გაუგებარი გახლდათ, თუ რას გულისხმობდა სტუდენტი ამერიკულ მეთოდებში. შეხვედრა, რომელზეც სტუდენტი საუბრობდა, გაგრძელდა 3 საათის განმავლობაში და გაუჩნდა კითხვები, თუ რატომ არსებობდა სტანდარტები, რატომ ჰქონდათ რიგი განხილვებისა აკრედიტაცია/ავტორიზაციასთან დაკავშირებით? იმისთვის, რომ მხოლოდ ფურცლებზე დაეტანათ? სად უნდა ყოფილიყო პროფესიული ეთიკის თემა, რაც რეგულირებულ, იურიდიულ პროფესიას ეხება? ზაზა რუხაძის განმარტებით, აბსოლუტურად ყველა საკითხს გაეცა პასუხი.

განმცხადებელმა, ქეთევან კილაძემ, განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ცრუობდა.
უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა, ზაზა რუხაძემ, გაიხსენა, რომ შეხვედრებზე, როდესაც განმცხადებელი ჩიხში შევიდა და მიხვდა, რომ მის მსჯელობას არ ჰქონდა ლოგიკა, ამბობდა, რომ გადადიოდა სხვა საკითხზე/ბრალდებაზე, რაც იყო წარმოუდგენელი მის 30 წლიან პრაქტიკაში, როდესაც სტუდენტი ვერც კრედიტების არსში ერკვეოდა, ვერც სწავლების მეთოდებში, მითუმეტეს, რომ მან ვერ დაასახელა ვერცერთი მეთოდი. გარდა ამისა, უნივერსიტეტში მოწვეული გახლდათ ეთიკის კომისია, სტუდენტს გაეგზავნა შეტყობინება, რომ იგეგმებოდა მისი საქმის განხილვა და ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების შემდეგ განმცხადებელს შეეძლო მიემართა სასამართლოსთვის, თუმცა, მისი მხრიდან დისკრიმინაცის შესახებ საუბარს, სჭირდებოდა შესაბამისი დასაბუთება. ზაზა რუხაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლებელი იყო პირველი თავად წასულიყო სასამართლოში და მიმართა საბჭოს წევრებს, განმცხადებლისთვის ეთხოვათ, განემარტა თუ რას ნიშნავდა „დისკრიმინაცია“? როდესაც სტუდენტი ითვლიდა გვერდებს, თუ რამდენი გვერდის წაკითხვას დაავალებდნენ და 55 გვერდის ნაცვლად თუ 57 გვერდი ექნებოდა წასაკითხი, აპროტესტებდა, უნდა ითქვას, რომ უფლება არ არის ცალმხრივი, პროფესორი და ინსტიტუცია არ უნდა ასრულებდნენ მხოლოდ სხვის უფლებებს და არა პირიქით.
სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ეთიკის ნორმების დაცვა იყო აბსოლუტურად მნიშვნელოვანი და ორივე მხარეს მოუწოდა მინიმალური ნორმების დასაცავად. მან სთხოვა ცენტრის წარმომადგენლებს ესაუბრათ მათ მოსაზრებაზე.
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ანა ბილანიშვილმა განაცხადა, რომ აღარ შეჩერდებოდა განცხადების შინაარსზე, მაგრამ, მისი მოსაზრებით განმცხადებლის მიერ განხილული საკითხები გარკვეულწილად სცდებოდა მისი საჩივრის შინაარსს.
სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სწორედ ამიტომ სთხოვდა დაზუსტებასა და კონკრეტულად საუბარს, იმ საკითხებზე, რაც ნახსენები იყო განცხადებაში.
ანა ბილანიშვილმა განმარტა, რომ ქეთევან კილაძეს წამოყენებული ჰქონდა კონკრეტული საკითხები: კრედიტების გაანგარიშების წესი, მობილობით გადმოსვლის შემდეგ კრედიტების აღიარების საკითხი და არა ზოგადი ქართულ-ამერიკული შინაარსი და ლექტორებთან დაპირისპირების საკითხი. საჩივარში დაფიქსირებულ პოზიციასთან დაკავშირებით ცენტრს ჰქონდა დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი. რაც შეეხებოდა ცენტრის კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან, ცენტრს ორივე მათგანთან ჰქონდა კომუნიკაცია, მათ შორის განმცხადებელს ეტაპობრივად აცნობებდნენ დაწესებულების მხრიდან მიღებულ პოზიციას და განუსაზღვრავდნენ ლოგიკურ დროს მოსაზრებების/მტკიცებულებების წარმოსადგენად. პირველადი განცხადების შემდეგ ცენტრს განმცხადებლისგან მეტი ოფიციალური წერილი არ მიუღია, ის არ ირჩევდა ცენტრთან ოფიციალური კომუნიკაციის ფორმატს და უკავშირდებოდა Facebook-ის და E-mail-ის საშუალებით, შესაბამისად ოფიციალურად მისი არგუმენტაცია ცენტრს არ მიუღია, რასაც შესაძლებელია წარმოების გაგრძელება მოჰყოლოდა.
სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, შუამდგომლობდა თუ არა ცენტრი წარმოების შეწყვეტის საკითხს?
ანა ბილანიშვილმა დაადასტურა შუამდგომლობის საკითხი, რადგან ცენტრმა სამჯერ მისწერა განმცხადებელს, ჰქონდა თუ არა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის სურვილი, თუმცა ქეთევან კილაძე კომუნიკაციაში აღარ შესულა.
სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა კრედიტებთან დაკავშირებით, როგორც მომჩივანი წერდა, იყო თუ არა სხვადასხვა სტუდენტისთვის კრედიტების განსხვავებული მოცემულობა?
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქეთევან ჯინჭარაძემ განმარტა, რომ კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებით მომხსენებელს არ გაუსვია ხაზი, რადგანაც შესაძლებელია თვითონაც მიხვდა, რომ მას გორის უნივერსიტეტში დაგროვილი ჰქონდა 115 კრედიტი, საიდანაც ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა უღიარა 114, მათ შორის

იყო თავისუფალი კრედიტი სტუდენტის ინტერესიდან გამომდინარე, რაც ეხებოდა საათებს და კრედიტებს. პრობლემა იყო ის, რომ კრედიტის მოცულობა და საკონტაქტო საათის ოდენობა არ იყო ერთიდაიგივე, შესაძლებელი იყო საკონტაქტო საათი ყოფილიყო 3 და კრედიტის რაოდენობა 5, ამიტომ შესაძლებელი გახლდათ, რომ მან ნიშნის ფურცელში საკონტაქტო საათისა და კრედიტის ადგილები აურია, რაზეც მიიღო განმარტება. ასევე, იყო პრობლემა თუ რატომ არ ამთავრებდა 240 კრედიტით და რატომ ამთავრებდა 243-ით, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ თავისუფალი კრედიტი არის აღიარებული, რის მოცულობასაც ვერ ცვლიდა დაწესებულება.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა წარმოადგენდა თუ არა აღნიშნული პრობლემას სტუდენტისთვის?

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ არ წარმოადგენდა პრობლემას ხსენებული ზედმეტი 3 კრედიტი, რადგან თუკი სავალდებულო კრედიტები იყო გათვალისწინებული, რატომ არ უნდა ყოფილიყო იგივე თავისუფალი კრედიტები? შესაბამისად, ნიშნების ფურცელში დამატებით ჩაუჯდა 3 კრედიტი. განმცხადებელს ხელი მოწერილი ჰქონდა კრედიტების აღიარების დოკუმენტზე, რადგან მობილობით ვერ გადადის სტუდენტი, თუ არ აწერს ხელს აღიარების დოკუმენტს. მან ძალიან კარგად იცოდა სასწავლო კურსები, რომლებიც უნდა გაევლო. გარდა ამისა, მისი პრობლემა იყო სისხლის სამართალი, რადგან აღნიშნული საგანი საერთოდ არ ჰქონდა გავლილი.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, განმცხადებელს ჰქონდა თუ არა გავლილი წინაპირობები და რის გამოც ვერ რეგისტრირდებოდა კერძო ნაწილზე?

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა დააკონკრეტა, რომ ვერ რეგისტრირდებოდა სისხლის სამართლის სხვა საგნებზე.

განმცხადებელმა, ქეთევან კილაძემ, განაცხადა, რომ პორტალზე დაკლებული ჰქონდა 1 კრედიტი რაც გააპროტესტა და გაასწორეს, მას არ სურდა გადაებიჯებინა 240 კრედიტისთვის, რადგან ეს იყო კანონით დადგენილი, მან განაცხადა, რომ მას არ სურდა პოლიტიკოსებს ესწავლებინა მისთვის და უარი თქვა მათ საგნებში თანხის გადახდაზე. სისხლის სამართალში მოუხსნეს საგნები სრულიად უმიზეზოდ, ერთ-ერთი ლექტორის შესახებ მან აღნიშნა, რომ ორიენტირებული იყო სტუდენტების ჩაჭრაზე. მან განმარტა, რომ აღნიშნული უნივერსიტეტი არ იმსახურებდა „აკრედიტაციას“.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა „ავტორიზაცია“, „აკრედიტაცია“ კი პროგრამებს.

განმცხადებელმა, ქეთევან კილაძემ, ეთიკასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გააკეთებდა შენიშვნას, შავ სიას, ჩამოწერდა ლექტორებს, გაგზავნიდა მთავრობის ადმინისტრაციაში, გამოაქვეყნებდა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე და ყველას სახელი და გვარი იქნებოდა ჩამოწერილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, მორის შალიკაშვილმა, განაცხადა, რომ ბესო მეურნიშვილი, თსუ-შიც სისხლს სამართლის მიმართულების პროფესორი გახლდათ და მისთვის უცნობი იყო, თუ რას გულისხმობდა განმცხადებელი სტუდენტის მიზანმიმართულ ჩაჭრაში, თუმცა მისთვის შეუძლებელი იყო ამის წარმოდგენა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მასაც სურდა ამის აღნიშვნა.

უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი დაინტერესდა, თუ რომელი პროფესორი წარმოედგინა საბჭოს, რომელიც მიზანმიმართულად ჩაჭრიდა სტუდენტებს? მისი თქმით, როდესაც სტუდენტი ითხოვდა 50/50-ზე, თუ დაწესებულებას ექნებოდა უფლება 70/30-ზე გააკეთებდა ამერიკულ მეთოდებს. მან ბოდიში მოუხადა საბჭოს წევრებს, რომ ამ საკითხის განხილვა მოუწიათ.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 16:21 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 16:18 საათი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-88 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტების, 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

6. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შესახებ შემოსული საჩივრის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს, მიმოეხილათ წარმოდგენილი საჩივარი.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, დავით ბურჯანაძემ, განაცხადა, რომ მასალები, რომლებიც მიეწოდა საბჭოს, იყო როგორც განმცხადებელთან, ასევე დაწესებულებასთან კომუნიკაციის გზით მოპოვებული. განმცხადებელს პირველი წერილის შემდეგ არანაირი კომუნიკაცია არ ჰქონია ცენტრთან და ცენტრს გაუჭირდა მისი მოკვლევა, რის გამოც მიმართა დაწესებულებას, რათა განემარტათ დეტალურად არსებული პრობლემა. პროცესს ართულებდა გარემოება, რომ ცენტრს არ ჰქონდა დასტური განმცხადებლის მხრიდან მისი ვინაობის გამხელის შესახებ, მიუხედავად ამისა დაწესებულების მიერ წარდგენილ დოკუმენტებში დაახლოებით იყო მინიშნება ამ ადამიანთან დაკავშირებით. მოკვლევის საფუძველზე, საკითხი ეხებოდა თანხის გადახდას, გაზაფხულის სემესტრის დაწყების დროს განმცხადებელს არ ჰქონდა თანხა გადახდილი, რის მიუხედავადაც დაწესებულებამ მისცა უფლება გაეგრძელებინა სწავლა წლის ბოლომდე და სავარაუდოდ ამ პერიოდამდე უნდა დაეფარა, ამ პერიოდში მოესწრო კურაციული სისტემით ჩაბარებაც, რაზეც დაწესებულებამ მიანიჭა კრედიტები და უღიარა თანხის გადახდის გარეშე, ამის შესახებ დაწესებულებამ განმარტა, რომ სტუდენტს მიეცა კურაციულ გამოცდებზე დასწრების უფლებაც. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ესწრებოდა ყველა ლექციას გაზაფხულის სემესტრზე და გამოცდებშიც მიიღო მონაწილეობა, თუმცა ამ პერიოდში სტატუსი შეჩერებული ჰქონდა, ასევე განმარტა ოჯახური მდგომარეობა, რომ ვერ შეძლო თანხის გადახდა და გადახდის შემდგომ დაწესებულებამ ჩათვალა, როგორც შემდეგი სემესტრის გავლის გადასახადი და უკვე გავლილი სემესტრი არ ჩაეთვალა, რაზეც დაწესებულებამ მკაფიო განმარტებები გააკეთა და შესაბამისად, ცენტრის მოსაზრებით ამ საკითხზე უნდა შეწყვეტილიყო ადმინისტრაციული წარმოება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრი, მორის შალიკაშვილი, დაინტერესდა თუ რა მდგომარეობა იყო ბოლო ინფორმაციით, აღნიშნულ სტუდენტთან დაკავშირებით?

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, დავით ბურჯანაძემ განმარტა, რომ ცენტრა მისწერა განმცხადებელს, რათა წარმოედგინა ბოლო მონაცემები, რაზეც პასუხი არ მიუღიათ. დაწესებულებამ გამოთქვა სურვილი, უშუალო კომუნიკაციით მოეგვარებინა აღნიშნული პრობლემა, რაზეც განმცხადებელს მისწერეს, რომ დაკავშირებოდა დაწესებულებას პრობლემის მოსაგვარებლად, შემდეგ კვლავ მისწერეს, რათა გაეგოთ იმჟამინდელი მდგომარეობა, თუმცა ცენტრს პასუხი არ მიუღია. დაწესებულების მხრიდან ინფორმაციის მოპოვებას აფერხებდა გარემოება, რომ ცენტრს არ ჰქონდა განმცხადებლის პირადი ინფორმაციის გამჟღავნების უფლება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-88 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტების, 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა დასრულდა 2022 წლის 10 თებერვლის 16:35 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით